



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 4 აპრილი, 2014 წელი

დრო: 15:30 – 16:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. დათო ჭიპაშვილი - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
7. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. რევაზ ბურჭულაძე - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
9. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
10. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს აცნობა, რომ ევროკავშირი იწყებს კონსულტაციებს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის საგზაო რუკაზე. საგზაო რუკის მიზანია ერთიანი სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება ევროკავშირის დელეგაციებისა და წევრი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის. იგი უნდა შემუშავდეს ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით. საქართველოს ეროვნულ პლატფორმას აქვს შესაძლებლობა 30 აპრილამდე მოამზადოს კონკრეტული შენიშვნები და წინადადებები საგზაო რუკასთან დაკავშირებით.

დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ მომზადდება ჯგუფის ერთიანი პოზიცია ყველა მონაწილე ორგანიზაციის მითითებით. გადაწყდა, რომ 1 კვირის ვადაში ჯგუფის წევრები თანაკოორდინატორებს გაუგზავნიან პირველად წინადადებებს, ხოლო 10 დღეში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან დეტალური განხილვისათვის.

თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ 3 აპრილს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, რომელიც ახორციელებს პროექტს "დავასუფთაოთ საქართველო". თანაკოორდინატორმა წამოაყენა წინადადება, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე პარლამენტში მოეწყოს შეხვედრა სახელმწიფო სტრუქტურებისა და პლატფორმის მესამე სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით. კომიტეტის თავმჯდომარემ გამოთქვა შეხვედრის აპრილში გამართვის მზადყოფნა და აღნიშნა, რომ განხილვაზე მოწვეული იქნებიან სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებიც გააკეთებენ მოხსენებებს ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მესამე ჯგუფის წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა დამსწრეებს გააცნონ თავიანთი წინადადებები. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ 1 კვირის ვადაში თანაკოორდინატორებს გაუგზავნიან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში განსახილველი საკითხების ჩამონათვალს.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლის თქმის, 10 აპრილს ბრიუსელში, ევროპარლამენტში გაიმართება კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმების კოორდინატორები (საქართველოდან ივანე ჩხიკვაძე), ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის, ნატოსა და ევროპარლამენტის წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული კოორდინატორის ინიციატივით, პლატფორმის წევრებს აქვთ შესაძლებლობა კოორდინატორს გაუგზავნონ წინადადებები ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებულ თუ შესაძლო გამოწვევებზე, რომელთაც ის კონფერენციაზე გააუღერებს.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლის აზრით, კონფერენციაზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ენერჯოსისტემა უაღრესად დაუცველია რუსეთის ჩარევისაგან, არის საშიშროება, რომ მოხდეს ენგურიდან ელექტროენერჯის მოწოდების შეწყვეტა, რაც გამოიწვევს სისტემის სრულ ნგრევას. აუცილებელია ამ საფრთხის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის წინასწარ ინფორმირება, იმისათვის, რომ ენგურზე პრობლემების შესაძლო წარმოშობა წინასწარ შეფასდეს როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის შემდგომი დარღვევა და მოყვეს შესაბამისი რეაგირება. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ამ საკითხზე მან უკვე ისაუბრა საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ენერჯეტიკულ კონფერენციაზე "GIOGIE-2014".

თანაკოორდინატორის თქმით, ენგურჰესის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა საჭიროა პრობლემების უფრო კომპლექსურად განხილვა (კერძოდ, საზღვრის დემარკაცია უახლოეს მეზობლებთან, ახალი ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობა, მცოცავი ანექსია, ჯვრის კაშხალის, ბაქო-სუფსის მილსადენი და სხვა). ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას"

წარმომადგენლის თქმით, პრობლემატურია არამხოლოდ ენგურის, არამედ მთლიანად ენგურის ხეობისა და იქ დაგეგმილი ჰესების თუ ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის საკითხი. გადაწყდა, რომ ჯგუფის წევრები 2 დღის ვადაში თანაკოორდინატორებს გაუგზავნიან თავიანთ წინადადებებს უსაფრთხოების კონფერენციაზე გასაჟღერებელ საკითხებთან დაკავშირებით.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის წარმომადგენლმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ენერგეტიკის პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების სემინარების ციკლის შესახებ, რომლის მიზანია პროფესიული განხილვების გააქტიურების ხელშეწყობა. სემინარები საინტერესო იქნება როგორც ჟურნალისტებისთვის, ისე ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის. პირველი სემინარი უკვე ჩატარდა და წლის ბოლომდე იგეგმება 9-10 ასეთი სემინარის ორგანიზება. ჩაიწერება სემინარების ვიდეოები და შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს ექნება მათი ნახვის შესაძლებლობა.

სემინარები ჩატარდება კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით. ორგანიზაცია ეძებს დაფინანსებას ექსპერტებისთვის, რომლებიც ჩაატარებენ სემინარებს. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო" მზად არის დააფინანსოს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი სემინარი, თუმცა მათთვის საინტერესოა იმის განსაზღვრა რამდენად მნიშვნელოვანია ეს სემინარები სამუშაო ჯგუფის განვითარებისთვის. თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია მესამე სამუშაო ჯგუფის სახელით მოხდეს დამატებითი სახსრების მოძიება სემინარებისთვის. დამსწრეებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

ერთსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია